საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030148895395220

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/12430 **12 / ოქტომბერი / 2020 წ.**

საქართველოს განათლების, მეცნოიერების,
კულტურისა და სპორტის სამინისტროს უმაღლესი
განათლებისა და მეცნიერების განვითარების
დეპარტამენტის უფროსს
ქალბატონ ნინო წერეთელს

ასლი: კორეის რესპუბლიკის საელჩოს საქართველოში
(georgia@mofa.go.kr)

ქალბატონო ნინო,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 9 ოქტომბრის №10452 წერილი, რომელიც ეხება კორეული ენის TOPIC გამოცდის ჩატარების პირობების შეთანხმებას.

გაცნობებთ, რომ გამოცდის ჩატარება შესაძლებელია განხორციელდეს სათანადო უსაფრთხოების ზომების დაცვით, რაც პირველ რიგში გულისხმობს ნებისმიერი პირის საგამოცდო სივრცეში ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით დაშვებას, პედაგოგებისა და სტუდენტების რაოდენობისა და ნაკადის კონტროლს, უსაფრთხო დისტანციის დაცვას, საგამოცდო სივრცეში სათანადო განლაგების ნორმების უზრუნველყოფას, თერმოსკრინინგის განხორციელებას, ჰიგიენური ნორმებისა და COVID-19 ვირუსთან დაკავშირებული სხვა პრევენციული ზომების გატარებას, რაც განსაზღვრულია „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის N1-227/ო ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისი დანართებით.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი

გიორგი ჭავჭავაძე